რა შეიძლება იყოს სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდთან მიმართვის მიზანი

პირველადი შეფასება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა

თუკი, მშობელს აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მის შვილს აქვს რაიმე მიზეზით გამოწვეული სირთულეები სწავლაში და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმეორებითი შეფასება

თუკი, მშობელი თვლის, რომ მის შვილს აქვს ისეთი საჭიროება, რომელიც არ არის შეფასებული და აღწერილი ადრინდელ შეფასებაში, ან საჭიროებს იმ მომსახურებას, რომელიც ადრინდელ დასკვნაში არ არის შეტანილი, უფლებამოსილია მოითხოვოს განმეორებითი შეფასება, გადაფასება.

შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მოხსნის მიზნით

მშობლებს ან/და მასწავლეებლებს, თუკი აქვთ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობები, დაძლიოს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი და აღარ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ან სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, მიმართავენ მულტიდისციპლინურ გუნდს სტატუსის მოხსნის მოთხოვნით.

შეფასება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის მიზნით

ბაღიდან ტრანზიცია ეს არის მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და ეფექტურად კოორდინირებული პროცესი. პროცესის უმტკივნეულოდ განვითარების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს სკოლის გუნდის (მასწავლებლების და სხვა სპეციალისტების) გადამზადებას ინკლუზიური განათლების საკითხებში და აქცენტს აკეთებს მასწავლებლებისთვის იმ საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომელიც აუცილებელი იქნება კონკრეტული სირთულის მქონე ბავშვისთვის, მაგალითად სპეციფიურად, აუტიზმის, ან მხედველობის სირთულის შემთხვევაში შესაძლოა საჭირო იყოს დამატებითი მასწავლებლების დამატებითი გადამზადება, ტრენინგი.

შეფასება რესურს სკოლაში ჩარიცხვის მიზნით

საქართველოში ფუნქციონირებს 7 რესურს სკოლა, მათ შორის 4 - თბილისში და 3 - რეგიონებში. რესურს სკოლები გათვალისწინებულია განსაკუთრებული სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის, რომელთაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე ეძლევათ რეკომენდაცია.

შეფასება სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით

მულტიდისციპლინური გუნდის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს მოსწავლის შეფასება სკოლაში სწავლების საბაზო ან/ და საშუალო საფეხურზე, პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით. ამ შემთხვევაში ფასდება პირის, როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები კოგნიტურ, აკადემიურ, მოტორულ, სოციალურ სფეროში, ფუნქციურ უნარებში, ასევე ხდება პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების გაცემა, აპლიკანტის ინტერესების და მიდრეკილებების კვლევა, რათა პროფესიის არჩევა მოხდეს წარმატებით.

შეფასება ინტეგრირებულ კლასში ჩარიცხვის მიზნით

საქართველოში ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირება დაიწყო 2013 წლიდან, მისი მიზანია დაახლოებით ერთნაირი საჭიროების მქონე მოსწავლეების ერთ საკლასო სივრცეში განთავსება და დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, რადგან იგულისხმება, რომ ინტეგრირებულ კლასებში უფრო მეტი სირთულის მქონე მოსწავლეები ირიცხებიან, რომელთა საჯარო კლასებში ინტეგრაცია ეტაპობრივად ხდება, მოითხოვს მეტ დაგეგმვას, ძალისხმევას, დროს. ამ ეტაპზე ფუნქციონირებს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების და სმენის სირთულის მქონე მოსწავლეების ინტეგრირებული კლასები, სადაც ჩარიცხვა მხოლოდ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და წერილობითი დასკვნის საფუძველზე ხდება.

შეფასება სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის საჭიროების დადასტურების ან მოხსნის მიზნით

თუ, სსსმ მოსწავლე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შეფასებით, აღმოჩნდება, რომ საჭიროებს მეტ მხარდაჭერას, ასისტირებას, ფუნქციური უნარების (თვითმომსახურების უნარების) განვითარების მხრივ, ასევე სკოლის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზეც იქნება ეს დადასტურებული, სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს ასისტენტის აყვანა. ასევე, ასისტენტის აყვანა ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლეს აღენიშნება რთული ქცევები და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესში სრულყოფილი ჩართულობის მიღწევისთვის.